საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 655

18 07 2018წ.

ქ. თბილისი

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის №642 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის №642 ბრძანებაში და ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 6.კონკურსში მონაწილე პირმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@eqe.ge - უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, სადაც აღნიშნული იქნება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება და მითითებული არანაკლებ ორი რეკომენდატორი, მათი თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) აუცილებელია ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში (Subject) ვაკანსიის დასახელების (თარჯიმანი ან რედაქტორი) მითითება.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების მიზნით ამ ბრძანების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსათვის მიწოდების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე